

ანასტასია (ტასო) აბაშიძე

„ მხოლოდ დიდად ნიჭიერ მსახიობთა ხვედრია
ყველა როლის ერთნაირი სიძლიერით
განსახიერება – დრამატული იგი თუ
კომიკური...“
ა. ბურთიკაშვილი.

ანასტასია (ტასო) აბაშიძე, თბილისში 1881 წლის 29 მარტს დაიბადა. მშობლები გამოჩენილი მსახიობები, მაკო საფაროვა და ვასო აბაშიძე იყვნენ. განათლება თბილისის ქალთა პირველ გიმნაზიაში მიიღო. შემდეგ, სწავლა პარიზში, ედ. შავანიას მუსიკისა და დეკლამაციის სასწავლებელში, პროფესორ მარკეზის ხელმძღვანელობით გააგრძელა, რომელიც ვერ დაამთავრა საქართველოში დაბრუნების გამო.

ტ. აბაშიძის პირველად სცენაზე გამოსვლა დაკავშირებულია ცნობილი რუსი მსახიობის, მარიამ სავინას გასტროლებთან. მსახიობის ჩანაწერებში ვკითხულობთ: „...პირველად სცენური ნათლობა მივიღე ცნობილ მსახიობ ქალის მარიამ სავინასგან, რომელიც თბილისში საგასტროლოდ იყო ჩამოსული. ხუთი წლისამ ვითამაშე პიესა „ფრუ-ფრუ“-ში. ჩემის თამაშით აღტაცებულმა მ. სავინამ, ჩემი პეტერბურგში წაყვანაც კი მოინდომა“. [ტ. აბაშიძე – „მოკლე ავტობიოგრაფია“. ფ. 1 საქ. 22.]

პროფესიულ სცენაზე, 18 წლის მსახიობის დებიუტი 1899 წლის 21 ოქტომბერს, ქართული დრამატული თეატრის სცენაზე შედგა, სადაც წარმატებით შეასრულა მაშოს როლი ნ. აზიანის კომედიაში „ფული და ხარისხი“. მემუარულ ჩანაწერებში ტასო აბაშიძე დიდი სიყვარულით იგონებს ამ დროს: „...მით უფრო ძვირფასი და დაუვინყარია ჩემთვის დიდ სცენაზე პირველად ჩემი გამოსვლა, რადგან ამ სპექტაკლში მონაწილეობდნენ მამაჩემი ვასო აბაშიძე და დიდად ნიჭიერი კომიკური მოხუცების როლების შემსრულებელი ნატალია გაბუნია-ცაგარლისა.“ [ტ. აბაშიძე – „მოკლე ავტობიოგრაფია“. ფ. 1 საქ. 22. ხ. 12945].

მსახიობის დებიუტთან დაკავშირებით, იმდროინდელ პრესაში, უამრავი სტატია დაიბეჭდა. მათ შორის მეტად საგულისხმოა მ. ნასიძის, იგივე „მე გახლავართ“ ფსევდონიმით ცნობილი კრიტიკოსის სტატია, რომელიც წერდა: „... ვინც ხუთშაბთს არ ნახა ანასტასია აბაშიძე, მან რამდენმე წამი დღის სიამოვნება დაჰკარგა.“ [გაზ: „ცნობის ფურცელი“, 1899 წელი, 6. 11. ფ. 3. საქ 95.]

ტასო აბაშიძის სადებიუტო გამოსვლა იმდენად წარმატებული გამოდგა, რომ იგი ქართული დრამატული თეატრის დასში მუდმივ მსახიობად ჩარიცხეს. მის დებიუტზე არა მარტო თეატრისა და ხელოვნების მოყვარულნი, არამედ მთელი ქალაქი ალაპარაკდა. არ წყდებოდა სტატიები თუ პუბლიკაციები ჟურნალ-გაზეთებშიც. ა. ბურთიკაშვილის ჩანაწერებიდან ვკითხულობთ: „...ასეთი დებიუტი ქართულ თეატრს არ ახსოვს. ვამბობ დებიუტიო. არა, უფრო სწორი იქნება ამ საღამოს ტასოს ტრიუმფი უწოდოთ“-ო [ფ. 1. საქ. 22].

1899-1902 წლებში ტასო აბაშიძე მუშაობდა თბილისის თეატრში, ხოლო 1902-1903 წლებში, მოღვაწეობა ქუთაისის თეატრში გააგრძელა. შემდგომ კვლავ დაბრუნდა დედაქალაქში, მაგრამ 1914 წელს ცნობილი ხანძრის გამო, მსახიობს მოუწია სხვადასხვა თეატრებში მოღვაწეობა. ამ სამწუხარო ფაქტთან დაკავშირებით არტისტი დიდი გულისტკივილით მოგვითხრობს: „... 1914 წელს ქართული თეატრი ცეცხლმა შთანთქა. პატრონიც არავინ იყო ქართული თეატრისთვის ეზრუნა. მსახიობთა უმეტესი ნაწილი იძულებული იყო პროვინციებში გასულიყო. მე განვაგრძე მუშაობა ავჭალის აუდიტორიაში, სადაც ბილეთი ღირდა ერთი შაური (5 კაპ.) ვმუშაობდი რკინის-გზის მუშათა თეატრში, რომლის მაყურებელნიც იყვნენ მუშა-მტვირთავები და საერთოდ ყველა უბანში, სადაც კი თეატრის ჩანასახი იყო. რასაკვირველია მე ამისთვის არანაირი გასამრჯელო არ მიმიღია. დიდის ენთუზიაზმითა და ხალხით ვენდოდი ამ მუშაობას მადლიერ მაყურებელთა შორის, რომელთა უმეტესობას მუშები წარმოადგენდნენ. მერე გადავედი ზუბალაშვილების სახალხო სახლში, ხოლო შემ-

დეგ კვლავ მიმინვიეს ქუთაისის დრამატულ თეატრში“ [ტ. აბაშიძე. „ჩემი ავტობიოგრაფია“. ფ. 1 საქ. 22.].

სხვადასხვა წლებში მუშაობდა: რუსთაველის (1921-25), ჭიათურის (1926-27), მარჯანიშვილის (1933-48) თეატრებში. შემდგომი წლებში, ტ. აბაშიძეს, სხვადასხვა თეატრებში მოუწია მოღვაწეობა.

ტასო აბაშიძე დიდი წარმატებით ასრულებდა სხვადასხვა ჟანრის როლებს. ა. ბურთიკაშვილი თავის მოგონებებში წერს: „ტასო აბაშიძე ვოდევილს ისე ითამაშებდა, რომ მაყურებლის მეხსიერებიდან არასოდეს არ ამოიშლებოდა ხოლმე. პირადად არ მახსოვს რომელ წელს ვიხილე სპეციალურად ტასოსთვის გადმოკეთებულ ვოდევილში „უბედოს დებიუტში“, ხოლო ტასო კი კარგად მახსოვს ამ როლში“. [ფ. 1. საქ. 22.]

ტასო აბაშიძე მუდამ ითვლებოდა წამყვან მსახიობად. შესრულებული აქვს 250-ზე მეტი როლი. მათ შორის აღსანიშნავია: ნუცა (ვ. გუნიას „აღლუმი“), გაიანე (ალ. სუმბათაშვილი-იუჟინის „ლალატი“), ელიკო (ნ. შიუკაშვილის „მეგობრობა“), ნასტია (ა. ოსტროვსკის „ბედნიერი დღე“), გოროდნიჩის ქალიშვილი (ნ. გოგოლის „რევიზორი“), ოფელია, ბეატრიჩე (უ. შექსპირის „ჰამლეტი“, „აურზაური არაფრის გამო“), დორინა (მოლიერის „ტარტიუფი“) და სხვა. იგი პირველთაგანი იყო, ვინც მონაწილეობას იღებდა ოპერებისა და ოპერეტების დადგმებში და ასრულებდა მეტად პასუხსაგებ პარტიებს. შესრულებული აქვს: კარმენი (ჟ. ბიზეს „კარმენი“), ქერუბინა (მოცარტის „ფიგაროს ქორწინება“), ბეტინა (ე. ოდრანის „მასკოტა“), პერიკოლა (ჟ. ოფენბახის „მოჭიკჭიკე ჩიტები“). ასევე მონაწილეობდა კინოფილმებში: „ხანუმა“, „ხუთწლელი ოთხ წელიწადში“ და სხვა.

1924 წელს, ტასო აბაშიძეს სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავის აღსანიშნავი საღამო გადაუხადეს. 1943 წელს, მსახიობს საქართველოს სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა.

ტასო აბაშიძე 1958 წლის 15 სექტემბერს გარდაიცვალა.

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის, ხელნაწერთა და საარქივო დოკუმენტთა ფონდში ინახება ტასო აბაშიძის, როგორც ბიოგრაფიული, საზოგადოებრივი და შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა, ასევე ვასო აბაშიძის, მაკო საფაროვა-აბაშიძის, იოსებ გრიშაშვილის, შალვა დადიანისა და სხვათა მისდამი წერილები.

მეტად მნიშვნელოვანია მსახიობის მემუარები, რომლებშიც ქართული თეატრის ისტორიის საინტერესო მოვლენებია აღწერილი.

ანასტასია (ტასო) აბაშიძის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. ანასტასია (ტასო) აბაშიძის მოკლე ავტობიოგრაფია. [ჩასწორებული ტ. აბაშიძის ხელით].
უთარილო. ავტოგრაფი. ნაბეჭდი. ქართულ და რუსულ ენებზე. 2 ეგზემპ. 12 გვ.
2. რესპუბლიკის სახ. არტისტის ანასტასია (ტასო) აბაშიძის მოკლე ავტობიოგრაფია.
1946 წ. 30 სექტემბერი. თბილისი. ხელნაწერი. ლურჯი მელანი. 4 გვ.
3. ანასტასია (ტასო) აბაშიძის მოკლე ავტობიოგრაფია. [მ. მეტრეველი].
უთარილო. ნაბეჭდი. 2 გვ.
4. ტასო აბაშიძის ბიოგრაფიული ცნობები.
უთარილო. ნაბეჭდი. ქართულ და რუსულ ენებზე. 5 გვ.
5. ანასტასია (ტასო) აბაშიძე. კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1939, 1940, 1946 წწ. ხელნაწერი. ლურჯი მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 16 გვ.
6. მონობა ტასო აბაშიძის ჯანმრთელობის შესახებ. გაცემული ექიმ ნ. ყიფშიძის მიერ.
მონობაში მითითებულია პროფესორთა: ა. ავალიშვილისა და მ. ასათიანის კონსილიუმის
შესახებ, რომელიც შედგა 1923 წლის 25 ივლისს, იმ მიზნით, რომ ამ მდგომარეობაში მსახიობ
ტასო აბაშიძის მუშაობა სცენაზე ყოვლად შეუძლებელია (დამონებულია ექიმ-ყიფშიძის
ბეჭდით.). 18/8, 1923 წ.
1923 წ. ხელნაწერი. ლურჯი მელანი. 1 გვ.
7. ბრძანება 135. კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრისადმი. საუბარ-
ია პიესა „ანრი სერ“-ში მსახიობ კაკო კვანტალიანის როლზე უარის თქმისა და მსახიობ ტასო
აბაშიძის რეპეტიციაზე გამოცხადების შესახებ.
1940 წ. 2 მაისი. ნაბეჭდი. ხელს აწერს თეატრის ხელმძღვანელი და დირექტორი, რესპ.
სახ. არტისტი – შ. ლამბაშიძე. ბრძანებას აქვს კ. მარჯანიშვილის თეატრის ბეჭედი. 1 გვ.
8. ტასო აბაშიძის ახსნა-განმარტებითი ბარათი მისი სამსახურიდან დათხოვნასთან
დაკავშირებით. ბარათში დანვრილებით არის მოთხრობილი 1940 წლის 23 აპრილის მოვლენ-
ები, როცა იგი (ტ. აბაშიძე) მოხსნილ იქნა სამსახურიდან (ბრძანება – 125; ხელმოწერილი
შ. ლამბაშიძის მიერ). მსახიობი წერს, რომ 15 აპრილს დაიწყო მკურნალობა ინსტიტუტში
ფიზიკური მეთოდებით ექიმ კოგანის მეთვალყურეობით. სწორედ ამ პერიოდში ვახტანგ
ტაბლიაშვილის რეჟისორობით სადიპლომო სპექტაკლის „მეჯღანუაშვილის“ რეპეტიციები
მიმდინარეობდა. გაუფრთხილებლობის გამო, რეპეტიციის გაცდენისთვის, ტასო აბაშიძე
თეატრიდან გაათავისუფლეს, ხოლო გასაჩივრების შემდეგ კვლავ აღადგინეს.
პირი: შ. ლამბაშიძე – თეატრის დირექტორი, იაშვილი – ადგილკომის თავმჯდომარე,
სულუაშვილი – რეჟისორის თანამემწე, ვ. ტაბლიაშვილი – რეჟისორი, აკ. კვანტალიანი
– მსახიობი, გ. შავგულიძე – მსახიობი, ც. ნუნუნავა – მსახიობი (ტასო აბაშიძის დუბ-
ლიორი).
1940 წ. ავტოგრაფი. ლურჯი მელანი. დაზიანებული. 9 გვ.

პედაგოგიური მოღვაწეობის ამსახველი მასალა

9. თბილისის I, II და III გიმნაზიელების მისალოცი ბარათი ტასო აბაშიძისადმი.
1901 წ. დასტამბული. 1 გვ.
10. ლევან ყიფიანის მისალოცი წერილი ტასო აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლის
იუბილესთან დაკავშირებით.
1924 წ. 10 თებერვალი. ხელნაწერი. დაზიანებული. 1 გვ.
11. დუშეთის ქართული დრამატული წრის მისალოცი ადრესი ტ. აბაშიძის სასცენო
მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1924 წ. 10 თებერვალი. ხელნაწერი. ლურჯი მელანი. 1 გვ.

12. ვანო ფალიაშვილის მისალოცი წერილი ტასო აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით. წერს, რომ ავადმყოფობის გამო პირადად ვერ ესწრება ქართული თეატრისა და კულტურის დიდ დღესასწაულს.

1924 წ. 10 თებერვალი. ტფილისი. ხელნაწერი. შავი მელანი. 1 გვ.

13. ტასო აბაშიძის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით მოწყობილი საიუბილეო კომიტეტის მონაწილეები. საიუბილეო კომიტეტის წევრნი: საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე, განათლების სახალხო კომისარი – დავით კანდელაკი, მსახიობთა კულტურული კავშირისა და საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე – აკაკი ფალავა, მდივანი – ვ. ჯიქია. ასევე: ნინო ამირეჯიბისა, სოლ. ახვლედიანი, ალ. ახმეტელი, კ. ანდრონიკაშვილი, ან. აბელიშვილისა, გრ. აბელიშვილი, ი. ალიხანია, შ. აფხაიძე, ბ. ბიბინიშვილი, ივ. გომართელი, ა. გომართელისა, ი. გრიშაშვილი, შალვა დადიანი, ალ. დარაბევიძე, ივ. ვარაზაშვილი, ილია ზურაბიშვილი, ივ. თურქია, პაოლო იაშვილი, ვ. კილოსანიძე, ი. ლორთქიფანიძე, მირზა-დაუდ რასულ-ზადა, არჩ. მიქელაძე, ეფ. მესხი, ვარ. მესხი, კოტე მარჯანიშვილი, კოტე მაყაშვილი, გრ. რობაქიძე, ვლ. სუხიშვილი, ვ. სიდამონ-ერისთავი, ტიციან ტაბიძე, ალ. თულანოვი, ვ. ფალიაშვილი, ზ. ფალიაშვილი, მ. ქორელი, ლეო ქიაჩელი, გ. ყარალაშვილი, დათ. ჩხეიძე.

1924 წ. 12 იანვარი. თბილისი. დასტამბული. 1 გვ.

14. მე-4 სტამბის მუშების მისალოცი სიტყვა ლექსის სახით ტასო აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით. ლექსს ბოლოს მიწერილი აქვს მე-4 სტამბის მუშის – დავით ლოლობერიძის თხოვნა საიუბილეო კომისარიატისადმი, რათა ნება დართონ ამავე ლექსით მიმართოს იუბილარს.

1924 წ. დასტამბული. 1 გვ.

მოგონებები

15. ტასო აბაშიძის მოგონებები იწყება ბავშვობის წლებიდან. ზედმიწევნით კარგად არის გადმოცემული იმდროინდელი თბილისის თეატრალური ცხოვრება. ნახსენებია თითქმის ყველა ქართველი და არაქართველი ხელოვნებისა და საზოგადო მოღვაწე: მაკო საფაროვა-აბაშიძე, ვასო აბაშიძე, შულგინა, სავინა, კოტე მარჯანიშვილი, სანდრო ახმეტელი, შაქრო ვახვახიშვილი, სონა მარჯანიშვილი (კ. მარჯანიშვილის უფროსი და), აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, შალვა დადიანი და სხვა. დაწვრილებით არის ასევე მოთხრობილი მისი საბენეფისო საღამო. ფინანსური და პროფესიული პრობლემები. მოღვაწეობა საქართველის სხვადასხვა თეატრებში.

უთარილო. ავტოგრაფი. ლურჯი მელანი. 761 გვ.

16. ტ. აბაშიძის მოგონება მსახიობ ელისაბედ ჩერქეზიშვილზე. ჩანანერში მოშველიებული აქვს მაკო საფაროვა-აბაშიძის მოგონება, სადაც მოხსენიებული არიან: ილია ჭავჭავაძე, ნიკო ხიზანიშვილი (ელ. ჩერქეზიშვილის მეუღლე), ვასო აბაშიძე. ასევე ელ. ჩერქეზიშვილის უფროსი შვილი – ნუცა, რომლის ნათლიებიც იყვნენ: ილია ჭავჭავაძე და მაკო საფაროვა.

უთარილო. ავტოგრაფი. ლურჯი მელანი. 10 გვ.

17. ტასო აბაშიძის „მოგონება მამაზე“.

პირი: ალ. ყაზბეგი ბელეტრისტი და დრამატურგი, ლადო მესხიშვილი – რეჟისორი და მსახიობი, მაკო საფაროვა-აბაშიძე – მსახიობი, ზაქარია ფალიაშვილი – კომპოზიტორი, დუდე ძნელაძე, ვალერიან გუნია – რეჟისორი, კოლია გალუსტოვი – ქართული თეატრის სუფლიორი, ბერიძე (?) – მხატვარ-ფერმწერი, მეფე ალექსანდრე III.

უთარილო. ავტოგრაფი. ლურჯი მელანი. 17 გვ.

18. ქართული თეატრის სუფლიორ კოლია გალუსტოვის მოგონება „უკანასკნელი ქართული წარმოდგენისგან“ ანასტასია (ტასო) აბაშიძის დებიუტთან დაკავშირებით. კ. გალუსტოვი იგონებს იმ პერიოდს, როდესაც პირველად გამოვიდა ახალგაზრდა ტასო აბაშიძე სცენაზე და იმ განცდის შესახებ, რომელიც მას მსახიობის ხილვის დროს დაეუფლა.

პირი: ვ. აბაშიძე და მაკო საფაროვა.

1899 წ. ხელნაწერი. ფანქარი. 2 გვ.

19. ალ. ბურთიკაშვილის მოგონება – „ტასო აბაშიძე“.
უთარილო. ნაბეჭდი. 9 გვ.

პროგრამები

20. თბილისის სახაზინო თეატრის საზეიმო სპექტაკლის პროგრამა. I განყოფილებაში წარმოდგენილ იქნა პ. ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ონეგინი“ ვანო სარაჯიშვილის მონაწილეობით. II განყოფილებაში წარმოადგინეს ა. ცაგარელის კომედია „ხანუმა“. მონაწილე პირნი: ტასო აბაშიძე, ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია, ალ. იმედაშვილი, კოტე ყიფიანი. ანტრეპრინიორი რ. ფ. ნორტმტემი. პროგრამას აქვს სახაზინო თეატრის დირექციის ბეჭედი.
1906 წ. დასტამბული. რუსულ ენაზე. 4 გვ.

21. პროგრამა – „ბენეფისი ტასო აბაშიძისა“. წარმოდგენილ იქნა ე. ოდრანის კომიკური ოპერა „ნატურის თვალი“. თარგ: ა. ახნაზაროვის, ლოტბარი: პოლიკარპე ფალიაშვილი.
1908 წ. 7 თებერვალი. დასტამბული. ქართულ და რუსულ ენებზე. 9 გვ.

22. ტასო აბაშიძის ბენეფისის პროგრამა. წარმოდგენილ იქნა ბერნარდ შოუს პიესა „კეისარი და კლეოპატრა“. დრ. 4 მოქ. საღამო გაიმართა ქართულ თეატრში „განსაკუთრებული ტანისამოსითა და სპეციალური დეკორაციით“. მონაწილე პირნი: ტასო აბაშიძე, ვასო აბაშიძე, კოტე მესხი, დ. აბდუშელიშვილი, ი. ჟივიძე, მ. სარაული, ნ. სარაული. პროგრამა დაბეჭდილია სტამბა „სორაპანი“-ში მადათოვის კუნძულზე.
1913 წ. 31 იანვარი. დასტამბული. 2 გვ.

ჟანსტოლარული მემკვიდრეობა

წერილები ტასო აბაშიძისადმი

23. ვასო აბაშიძის ღია ბარათი ტასო აბაშიძისადმი. ულოცავს ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაულს და წერს მისი იუბილის წარმატებით ჩატარების შესახებ. ბარათზე ტ. აბაშიძის ფოტოა გამოსახული.
1902 წ. დასტამბული. ხელნაწერი. ქართულ, ფრანგულ და რუსულ ენებზე.
ლურჯი მელანი. 2 გვ.

24. ვასო აბაშიძის პირადი ხასიათის წერილი ტასო აბაშიძისადმი.
1910 წ. 23 ოქტომბერი. თბილისი. ხელნაწერი. ლურჯი მელანი. 2 გვ.

25. ვასო აბაშიძის წერილი ტასო აბაშიძისადმი. წერს ქუთაისში გამგზავრებასთან დაკავშირებით. ბარათს აქვს ორი ბეჭედი რუსეთის იმპერიის ორთავიანი არნივის გამოსახულებით.
1914 წ. 11 ოქტომბერი. ავტოგრაფი. ლურჯი მელანი. 2 გვ.

26. ვასო აბაშიძის ღია ბარათი ტასო აბაშიძისადმი. წერს, რომ პოლიკარპე კაკაბაძე ქუთაისში დგამს ჟონსის 1 მოქმედებიან ოპერეტას „ქორნილის წინ“. ამასთან დაკავშირებით სთხოვს ტასოს ჩამოსვლას და წარმოდგენაში მონაწილეობის მიღებას.
უთარილო. ხელნაწერი. ქართულ. ენაზე. ლურჯი მელანი. 2 გვ.

27. ვასო აბაშიძის წერილი ტასო აბაშიძისადმი. წერს, რომ ბენეფისისთვის უგზავნის ორ პიესას: ფ. სენათის „ჯამბაზებს“ (თარგმ. ვ. აბაშიძის) და მოლიერის „ეჭვით ავადმყოფს“. ურჩევს დადგას „ეჭვით ავადმყოფი“, რადგან პიესა კლასიკურია და ქუთაისში ჯერ არ დადგმულა, ხოლო „ჯამბაზები“ დადგას მხოლოდ დახელოვნებული დირიჟორის დახმარებით, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი განხორციელება გაუძნელდება.
უთარილო. ავტოგრაფი. შავი მელანი. 4 გვ.

28. ვასო აბაშიძის წერილი ტასო აბაშიძისადმი. წერს, რომ მზადაა ჟ. ოფენბახის ოპერეტა „მოჭიკჭიკე ჩიტუნები“. აგრეთვე ატყობინებს, რომ მზადდება მაკო საფაროვა-აბაშიძის იუბილე და სასურველი იქნება თუ ტასოც დაესწრება.
1912 წ. 6 იანვარი. ავტოგრაფი. შავი მელანი. 4 გვ.

29. ვასო აბაშიძის წერილი ტასო აბაშიძისადმი. წერს უცნობი პიესის შესახებ, რომელსაც უგზავნის. ასევე ულოცავს ახალი წლის დადგომას. ბარათს აქვს რუსეთის იმპერიის ბეჭედი ორთავიანი არწივის გამოსახულებით.

1915 წ. 31 ივლისი. ავტოგრაფი. შავი მელანი. 2 გვ.

30. ვასო აბაშიძის წერილი ტასო აბაშიძისადმი. წერს საგადასახადო ქვითრის შესახებ, რომელსაც უგზავნის.

წ (?). 15 აგვისტო. ნალვერი. ავტოგრაფი. შავი მელანი. 2 გვ.

31. ვასო აბაშიძის წერილი ტასო აბაშიძისადმი. წერს, რომ თბილისის დასი ძლიერ შესუსტებულია. ურჩევს მოსკოვიდან ჩამოსვლას და ქართულ თეატრში მუშაობის გაგრძელებას. აცყობინებს მაკო საფაროვა-აბაშიძის საიუბილეო საღამოს მზადების შესახებ, რომელიც ნოემბრისთვის იგეგმება.

1912 წ. ტფილისი. ავტოგრაფი. შავი მელანი. 4 გვ.

32. ვასო აბაშიძის წერილი ტასო აბაშიძისადმი. წერს, რომ ფოთში, 18-ში, პარასკევს აპირებენ ვ. აბაშიძის იუბილეს გამართვას. ამიტომ სთხოვს ტასოსა და გოგიას ეწვიონ საღამოზე.

უთარილო. ხელნაწერი. ფანქარი. დაზიანებული. 2 გვ.

33. იოსებ გრიშაშვილის ღია ბარათი ტასო აბაშიძისადმი. ახსენებს, რომ 1912 წელს, ივნისის პირველ რიცხვებში, ფოთში დაგეგმილ ი. გრიშაშვილის საღამოზე მონაწილეობის მიღება არ დაავიწყდეს.

1912 წ. 25 მაისი. ავტოგრაფი. შავი მელანი. 2 გვ.

34. ნიკო გოცირიძის წერილი ტასო აბაშიძისადმი. უზიარებს შთაბეჭდილებებს საზღვარგარეთის თეატრზე, რომელიც განსაკუთრებით ახალი გეგმით არის აგებული, „ლუნა პარკსა“ და ჰამბერგის ზღვის ქვედა ტუნელზე, ასევე მეიერჰოლდის დადგმებზე: „Воздушный пирог“, „Лес“, „Доходное место“.

1925 წ. 23 მაისი. ხელნაწერი. შავი მელანი. 3 გვ.

35. ნიკო გოცირიძის წერილი ტასო აბაშიძისადმი. წერს დასის შესახებ, რომელიც ჭიათურაში იმყოფება. ასევე შემდგომ გასტროლებზე, რომელიც ზუგდიდში გაიმართება.

პირი: მარია მიხაილოვას, ვალერიანი (გუნია), გოგი.

1913 წ. 29 მაისი. ჭიათურა. ხელნაწერი. ლურჯი მელანი. 2 გვ.

36. ი. გედევანიშვილის წერილი ტასო აბაშიძისადმი. სთხოვს ეწვიოს სადილად 3 საათზე. წერილის ბოლოს მითითებულია ი. გედევანიშვილის საცხოვრებელი სახლის მისამართი.

1913 წ. 27 დეკემბერი. ხელნაწერი. შავი მელანი. 1 გვ.

37. შალვა დადიანის წერილი ტასო აბაშიძისადმი. გამოთქვამს სამძიმარს მაკო საფაროვა-აბაშიძის გარდაცვალების გამო და ამასთან დაკავშირებით აცყობინებს, რომ უგზავნის სამძიმრის დეპეშას.

1951 წ. ხელნაწერი. წერილი დაწერილია საქართველოს თეატრალურისაზოგადოების თავმჯდომარის ბლანკიან ფურცელზე. ლურჯი მელანი. 1 გვ.

38. შალვა დადიანის წერილი ტასო აბაშიძისადმი. აცყობინებს, რომ რაფიელის [ერი-სთავი] მიერ გადმოკეთებული გრიგორიევის ვოდევილი „ბიძასთან გახუმრება“ და ტასო აბაშიძეს ნატოს როლის შესასრულებლად ინვეცს.

პირი: გვარამაძე, დავით ჩხეიძე, ვიქტორ ნინიძე.

უთარილო. ხელნაწერი. ლურჯი მელანი. 1 გვ.

39. ილია ზურაბიშვილის პირადი ხასიათის წერილი ტასო აბაშიძისადმი.

უთარილო. ხელნაწერი. ფანქარი. 1 გვ.

40. ილია ზურაბიშვილის წერილი ტასო აბაშიძისადმი. საუბარია ვასო აბაშიძის მიერ შესრულებულ აკოფას როლზე (ა. ცაგარელის „ხანუმა“), რომელიც მსახიობმა შესანიშნავად შეასრულა.

პირი: დათიკო (ჩხეიძე).

1938 წ. 29 მარტი. ავტოგრაფი. ლურჯი მელანი. 2 გვ.

41. ილია ზურაბიშვილის პირადი ხასიათის წერილი ტასო აბაშიძისადმი.
1938 წ. ხელნაწერი. ლურჯი მელანი. 3 გვ.

42. ილია ზურაბიშვილის პირადი ხასიათის წერილი ტასო აბაშიძისადმი.
პირი: ვალიკო (?) და ხოშტარია (?).
უთარილო. ხელნაწერი. მწვანე მელანი. 2 გვ.

43. ილია ზურაბიშვილის პირადი ხასიათის წერილი ტასო აბაშიძისადმი.
პირი: რუსია (?), ვასო (?), გიორგი (?).
1943 წ. 6 ნოემბერი. ხელნაწერი. ფანქარი. 1 გვ.

44. ილია ზურაბიშვილის პირადი ხასიათის წერილი ტასო აბაშიძისადმი.
პირი: ვალიკო (?).
1943 წ. 30 დეკემბერი. ხელნაწერი. ფანქარი. 1 გვ.

45. ილია ზურაბიშვილის წერილი ტასო აბაშიძისადმი. წერს, რომ უგზავნის წინა წლის
გადასახადების ყველა დოკუმენტს.
1947 წ. 20 იანვარი. ავტოგრაფი. ფანქარი. 2 გვ.

46. ილია ზურაბიშვილის წერილი ტასო აბაშიძისადმი. წერს წიგნის შესახებ, რომელ-
საც უგზავნის. ასევე ულოცავს ახალი წლის დადგომას.
პირი: დათიკო (ჩხეიძე).
1949 წ. 5 იანვარი. ავტოგრაფი. ლურჯი მელანი. 1 გვ.

47. პეტროვის (?) პირადი ხასიათის წერილი ტასო აბაშიძისადმი.
1926 წ. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. შავი მელანი. 3 გვ.

48. მარიჯანის წერილი ტასო აბაშიძისადმი. წერს კისლოვოდსკი მიღებული შთაბეჭ-
დილებების შესახებ.
1938. კისლოვოდსკი. ხელნაწერი. ლურჯი მელანი. 3 გვ.

49. ცეცილია წუნუნავას პირადი ხასიათის წერილი ტასო აბაშიძისადმი.
1948 წ. ხელნაწერი. ლურჯი მელანი. 1 გვ.

ტასო აბაშიძის წერილები

50. ტასო აბაშიძის წერილი დედისადმი. წერს ფინანსური პრობლემების შესახებ და
ულოცავს ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაულს.
წ. (?) 12 აპრილი. ჭიათურა. ავტოგრაფი. ლურჯი მელანი. 4 გვ.

51. ტასო აბაშიძის წერილი დედისადმი. მოიხსენიებს საშა ახმეტელს მომავალ სე-
ზონში სამსახურის დაწყებასთან დაკავშირებით.
უთარილო. ავტოგრაფი. ლურჯი მელანი. 4 გვ.

52. ტასო აბაშიძის წერილი დედისადმი. საუბრობს პიესა „ცოცხი და ლოკოკინას“ შეს-
ახებ და ფინანსურ პრობლემებზე.
უთარილო. ავტოგრაფი. ლურჯი მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 4 გვ.

53. ტასო აბაშიძის წერილი დედისადმი. წერს ალექსანდრე ახმეტელისა და კოტე მარ-
ჯანიშვილის თეატრიდან დათხოვნასთან დაკავშირებით.
უთარილო. ავტოგრაფი. ლურჯი მელანი. 4 გვ.

54. ტასო აბაშიძის ღია ბარათი დედისადმი. წერს გერმანიასა და საფრანგეთში მოგ-
ზაურობის შესახებ.
უთარილო. ავტოგრაფი. ლურჯი მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 გვ.

55. ტასო აბაშიძის წერილი მსახიობ ვიქტორ ნინიძისადმი. წერს, რომ უგზავნის ვასო
აბაშიძის პარიკს, რომელიც მსახიობს მორგებული ჰქონდა კარაპეტას როლში (გ. ერისთავის

„ძუნწი“).

1950 წ. 15 ივნისი. ავტოგრაფი. ლურჯი მელანი. მინანვრით. 1 კ. 2 გვ.

დაჯიშები

56. ვასო აბაშიძის დეპეშა ტასო აბაშიძისადმი. ულოცავს დაბადების დღეს.
უთარილო. რუსულ ენაზე. 1 გვ.
57. ვიქტორ, გოგია, ვახტანგ დეკანოზიშვილების სამძიმრის დეპეშა ვასო აბაშიძის
გარდაცვალებასთან დაკავშირებით.
უთარილო. ხელნაწერი. ფანქარი. 1 გვ
58. სომხეთის თეატრალური საზოგადოების სამძიმრის დეპეშა ტასო აბაშიძის გარ-
დაცვალებასთან დაკავშირებით.
1958 წ. 16 სექტემბერი. ერევანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
59. ივანე პერესტიანის სამძიმრის დეპეშა ტასო აბაშიძის გარდაცვალებასთან დაკავ-
შირებით.
1958 წ. 17 სექტემბერი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
60. შალვა ხონელის სამძიმრის დეპეშა ტასო აბაშიძის გარდაცვალებასთან დაკავ-
შირებით.
1958 წ. 17 სექტემბერი. ქუთაისი. 1 გვ.
61. აკაკი ვასაძის სამძიმრის დეპეშა ტასო აბაშიძის გარდაცვალებასთან დაკავშირე-
ბით.
1958 წ. 17 სექტემბერი. ქუთაისი. 1 გვ.
62. გოცირიძის სამძიმრის დეპეშა ტასო აბაშიძის გარდაცვალებასთან დაკავშირე-
ბით.
1958 წ. 17 სექტემბერი. თელავი. 1 გვ.
63. სოხუმის სახელმწიფო დრამის თეატრის კოლექტივის სამძიმრის დეპეშა ტასო
აბაშიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.
1958 წ. 17 სექტემბერი. სოხუმი. 1 გვ.
64. იური მარჯანიშვილის სამძიმრის დეპეშა ტასო აბაშიძის გარდაცვალებასთან
დაკავშირებით.
1958 წ. 17 სექტემბერი. ახალი ათონი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
65. ჭიათურის სახელმწიფო თეატრის კოლექტივის სამძიმრის დეპეშა ტასო აბაშიძის
გარდაცვალებასთან დაკავშირებით.
1958 წ. 17 სექტემბერი. ჭიათურა. 1 გვ.
66. დეკანოზიშვილების სამძიმრის დეპეშა ტასო აბაშიძის გარდაცვალებასთან დაკავ-
შირებით.
1958 წ. 17 სექტემბერი. ჭიათურა. 1 გვ.
67. ვანო მურადელის სამძიმრის დეპეშა ტასო აბაშიძის გარდაცვალებასთან დაკავ-
შირებით.
1958 წ. 17 სექტემბერი. წყალტუბო. საფოსტო ნაბეჭდი. 1 გვ.
68. კ. ხეთაგუროვის სახ. სახელმწიფო თეატრის კოლექტივის სამძიმრის დეპეშა ტასო
აბაშიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.
1958 წ. 17 სექტემბერი. სტალინო. 1 გვ.
69. ნულუკიძის მუსიკალური სკოლის სამძიმრის დეპეშა ტასო აბაშიძის გარდაცვალე-
ბასთან დაკავშირებით.
1958 წ. 17 სექტემბერი. ნულუკიძე. 1 გვ.

70. აზერბაიჯანის თეატრალური საზოგადოების სამძიმრის დეპეშა ტასო აბაშიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.
1958 წ. 17 სექტემბერი. ბაქო. 1 გვ.

71. ოთარ გიგინეიშვილის სამძიმრის დეპეშა ტასო აბაშიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.
1958 წ. 18 სექტემბერი. თბილისი. 1 გვ.

ბარათები

72. ქეთო ანდრონიკაშვილის საიუბილეო მისალოცი ბარათი ტასო აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავთან დაკავშირებით.
1924 წ. 10 თებერვალი. ავტოგრაფი. შავი მელანი. 1 გვ.

73. ვლადიმერ კახიანის საიუბილეო მისალოცი ბარათი ტასო აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავთან დაკავშირებით.
[1924 წ.] ხელნაწერი. შავი მელანი. 1 გვ.

74. თამარ, ელენე და ანეტასაგან საიუბილეო მისალოცი ბარათი ტასო აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავთან დაკავშირებით.
[1924 წ.] ხელნაწერი. ლურჯი მელანი. 1 გვ.

75. საიუბილეო მისალოცი ბარათი ტასო აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავთან დაკავშირებით.
[1924 წ.] დასტამბული. 1 გვ.

76. მიშა სალუქვაძის საიუბილეო მისალოცი ბარათი ტასო აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავთან დაკავშირებით.
[1924 წ.] ხელნაწერი. ლურჯი მელანი. 1 გვ.

77. აბელიშვილის საიუბილეო მისალოცი ბარათი ტასო აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავთან დაკავშირებით.
[1924 წ.] ხელნაწერი. ლურჯი მელანი. 1 გვ.

78. ლევანის (?) საიუბილეო მისალოცი ბარათი ტასო აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავთან დაკავშირებით.
1924 წ. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. ლურჯი მელანი. 1 გვ.

სხვადასხვა

79. ი. გრიშაშვილის ლექსი „ტასოს“. მიძღვნილი ტასო აბაშიძისადმი. ლექსი გადაწერილია დ. ჩხეიძის მიერ.
1924 წ. 10 მარტი. „სატახტო ქალაქი“. თბილისი. ხელნაწერი. ლურჯი მელანი. 1 გვ.

80. ტასო აბაშიძის მიერ ჩაწერილი რუსული რომანსის ტექსტი.
უთარილო. ავტოგრაფი. ლურჯი მელანი. რუსულ ენაზე. დაზიანებული. 1 გვ.

81. ტასო აბაშიძის მიერ ჩაწერილი ქართველ პოეტთა ლექსები.
უთარილო. ხელნაწერი. ლურჯი მელანი. აკინძული, დაზიანებული. 7 გვ.

82. მამაკაცის შარჟი. ავტორი უცნობია.
უთარილო. ფანქარი. 1 გვ.